I. პრეამბულა

საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი) დამოუკიდებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად ახორციელებს უმაღლესი აკადემიური განათლების ორი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს.

ეთიკის კოდექსი აღწერს უნივერსიტეტის ეთიკურ პრინციპებსა და სტანდარტებს, რომლის სრულფასოვანი დაცვა და შესრულება უმაღლესი სასწავლო დაწესებულების წარმატების ერთერთი აუცილებელი პირობაა.

უნივერსიტეტმა უნდა დაამკვიდროს კონკურენტუნარიანი, მაღალ ღირებულებებსა და ფასეულობებზე ორიენტირებული სასწავლებლის სახელი. ჩვენი მიზანია, უნივერსიტეტის საქმიანობა დამყარებული იყოს ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, აკადემიური თავისუფლების, თანასწორუფლებიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებზე.

წინამდებარე დოკუმენტი დასაცავად სავალდებულოა როგორც უნივერსიტეტის ნებისმიერი თანამშრომლისთვის, ასევე სტუდენტებისთვის და არეგულირებს უნივერსიტეტის ნებისმიერი სახის საქმიანობას. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს სახელმძღვანელო პრინციპებს შესაძლო ეთიკური პრობლემების მოგვარებისათვის. უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს ეთიკური სტანდარტებითა და პრინციპებით მისი საქმიანობის ნებისმიერ სფეროში.

უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები და სტუდენტები ვალდებულნი არიან იმოქმედონ ეთიკური პრინციპების შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი არაეთიკური ქმედების წინააღმდეგ გატარებული იქნება ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიება.

II. ეთიკის კოდექსის დანიშნულება და გამოყენება

ეთიკის კოდექსი აღწერს უმაღლესი სასწავლებლის ეთიკურ პრინციპებსა და სტანდარტებს, ადგენს ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე სტუდენტების ქცევის ნორმებსა და სტანდარტებს უნივერსიტეტის ღირებულებების, კანონმდებლობისა და

მარეგულირებელი წესების შესაბამისად. სთავაზობს სახელმძღვანელო პრინციპებს შესაძლო ეთიკური დილემის მოგვარების მიზნით.

ეთიკის კოდექსი გამოყენებულ უნდა იქნეს უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებთან ერთად. მისი განახლება მოხდება რეგულარულად.

ეთიკის კოდექსი არ შეიცავს ყველა შესაძლო ეთიკურ პრობლემას. მისი მიზანია ადმინისტრაციულ/დამხმარე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და სტუდენტებს მიაწოდოს ის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელთა საშუალებითაც ისინი შეძლებენ იმოქმედონ ეთიკური სტანდარტების შესაბამისად.

III. ეთიკის პრინციპები და სტანდარტები

უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი და სხვა თანამშრომლები თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ეთიკური ნორმებით, მათი საქმიანობა ემყარება კეთილსინდისიერების პრინციპებს.

უნივერსიტეტში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით.

დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახავი ან შეურაცხყმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

აკრძალულია უნივერსიტეტის სახელით რაიმე სახის პოზიციის დაფიქსირება უნივერსიტეტის რექტორთან ან უნივერსიტეტის მმართველ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე.

დასაქმებულს ეკრძალება:

ა) თანამშრომლებისათვის და ან სტუდენტებისათვის სიტყვიერი ან სხვა სახის შეურაცხოფის მიყენება; მათი ღირსების შემლახველი გარემოს შექმნა;
ბ) აზარტული თამაშები, ალკოჰოლური და ნარკოტიკული საშუალებების, აგრეთვე პოლიტიკური და რელიგიური სააგიტაციო, სარეკლამო ფურცლებისა და პროკლამაციების
შემოტანა და გავრცელება; მსგავსი წარწერების გაკეთება შენობაში;
გ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე პოლიტიკური ხასიათის გამოსვლებისა და მიტინგების მოწყობა;
დ) ცეცხლსასროლი, გაზის ან საფანტის იარაღით შემოსვლა (თუ პერსონალს უფლება აქვს ატაროს იარაღი, იგი ვალდებულია ჩააბაროს იარაღი უნივერსიტეტის დაცვის სამსახურს, აღნიშნული ტერიტორიის დატოვებამდე).
ე) უნივერსიტეტის იწვევს უნივერსიტეტის დაზიანება, დაბინძურებას ან/და იერსახის დამახინჯებას.

უნივერსიტეტის პერსონალმა უნდა დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესით და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული რეგულაციები და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული სხვა ის მოვალეობები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე კოდექსით.

დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები და პასუხისგებაში მიცემა:

პერსონალისა ან სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსის გადაცდენის საკითხს შეისწავლის რექტორის ბრძანებით შექმნილი ეთიკის მუდმივმოქმედი საბჭო. ეთიკის საბჭოს საქმიანობას წარმართავს საკუთარი რეგლამენტის შესაბამისად.

1. აკადემიური და მოწვეული პერსონალი

1.1. სისტემატურად უნდა ზრუნავდნენ თვითგანვითარებაზე, კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებაზე; უნდა დაიცვან საუნივერსიტეტო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. თავი უნდა შეიკავონ უნივერსიტეტის პრესტიჟის შემლახველი გამონათქვამებისგან.

1.2. ვალდებულნი არიან პატივისცემით მოეპყრონ სტუდენტებს და გაუწიონ მათ აკადემიური და ინტელექტუალური ხელმძღვანელობა. დაიცვან სტუდენტების აკადემიური თავისუფლება და ხელი შეუწყონ მათ პროფესიულ ზრდასა და მათში ეთიკური პრინციპების გამყარებას.

1.3. მათი საქმიანობა და სტუდენტებთან ურთიერთობა დამყარებული უნდა იყოს მაღალაკადემიურ და ეთიკურ სტანდარტებზე.

1.4. თითოეული ლექციისათვის უნდა მოემზადონ მაღალ დონეზე და შეეცადონ გაზარდონ სტუდენტების მოტივაცია, მაქსიმალურად გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობები და პოტენციალი.

1.5. უნდა შექმნან ყველა საჭირო პირობა კეთილსინდისიერი და აკადემიური გარემოს არსებობისათვის. მის მიერ შემუშავებულ უნდა იქნას სწავლების ისეთი მეთოდები, საშინაო დავალებისა და შეფასების სისტემა, რომლებიც წაახალისებს სტუდენტების აკადემიურ პატიოსნებას.

1.6. აკადემიური/მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებმა საფუძვლიანად უნდა შეიმუშავონ სალექციო კურსების თემატიკა და სტრუქტურა. პერიოდულად მოახდინონ მათი განახლება შესაბამის სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად.

1.7. აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია სასწავლო პროცესი წარმართოს დამტკიცებული სასწავლო გეგმისა და სილაბუსის შესაბამისად.

1.8. სტუდენტების შეფასების პროცესში აკადემიური/მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებმა უნდა იმოქმედონ სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების შესაბამისად.

1.9. მათ მიერ მიცემული შეფასება უნდა იყოს ობიექტური და დაფუძნებული მხოლოდ სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე. შეფასებაზე გავლენა არ უნდა იქონიოს ისეთმა პიროვნულმა მახასიათებლებმა, როგორიცაა: სქესი, რელიგია, რასობრივი კუთვნილება, პიროვნული ღირებებულები, პოლიტიკური კუთვნილება და სხვა.

1.10. სტუდენტებს უნდა მიაწოდონ სრული ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ. მათი მხრიდან არ უნდა იქნას ჩადენილი ისეთი ქმედება, რაც რომელიმე სტუდენტს ჩააყენებს სხვებთან შედარებით ხელსაყრელ ან პრივილიგირებულ მდგომარეობაში.

1.11. თავი უნდა შეიკავონ უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა თუ ვალდებულებების აღებისაგან, რაც ხელს შეუშლის მათი საუნივერსიტეტო მოვალეობის სრულფასოვნად განხორციელებას.

1.12. დანიშნულებისამებრ და ეფექტიანად უნდა გამოიყენოს უნივერსიტეტის შენობა, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვა რესურსები საუნივერსიტეტო საქმიანობის სრულად განსახორციელებლად. არ გამოიყენონ უნივერსიტეტის მატერიალურ- ტექნიკური საშუალებები საკუთარი ინტერესებისა და საჭიროებისათვის.

1.13. აკადემიური/მოწვეული პერსონალის წარმომადგენელს არ აქვს უფლება მიიღოს და განიხილოს მისი რომელიმე კოლეგის კრიტიკა სტუდენტების მხრიდან. ასეთ შემთხვევაში მან უნდა მოუწოდოს სტუდენტებს მიმართონ უშუალოდ კრიტიკის ობიექტს ან ფაკულტეტის დეკანს.

1.14. აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები პატივისცემით და სამართლიანად უნდა ეპყრობოდნენ უნივერსიტეტის პერსონალის წარმომადგენლებს და მათ საქმიანობას უნივერსიტეტში.

2) ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი

2.1. ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ეთიკის მაღალ სტანდარტებს, კეთილსინდისიერებას და პატიოსნებას. ხელს უწყობდეს საზოგადოებაში უნივერსიტეტის სახელისა და ავტორიტეტის განმტკიცებას.

2.2. ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის მოვალეობაა უნივერსიტეტში შექმნას სასწავლო - სამეცნიერო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი გარემო.

2.3. პატივს უნდა სცემდეს უნივერსიტეტს და მის ტრადიციებს, თანამშრომლებს და სტუდენტებს მოეპყროს სამართლიანად და პატივისცემით.

2.4. ადმინისტრაციის პერსონალის წარმომადგენელს არ აქვს უფლება მიიღოს საჩუქარი, ან თანხა უნივერსიტეტის თანამშრომლებისაგან, სტუდენტებისაგან ან სხვა დაინტერესებული პირისაგან;

2.5. ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს შორის არსებული სამსახურეობრივი ურთიერთობები უნდა იყოს პროფესიონალური და ეთიკური. მიუღებულია ანონიმური წერილები, დაუსაბუთებელი (ან დასაბუთებული) განცხადებები და კომენტარები კოლეგის სამსახურებრივი საქმიანობის და პირადი ცხოვრების შესახებ.

მუხლი 3. სტუდენტები

3.1. სასწავლო. უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით მისთვის მინიჭებული უფლებით.

სტუდენტი იზიარებს უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ღირებულებებს და იცავს ამ კოდექსით დადგენილ წესრიგს;

3.2. სტუდენტი აღიარებს უნივერსიტეტის უფლებას, ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, განიხილოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და ამასთან იღებს ვალდებულებას შეასრულოს ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

3.3. სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (ლექციაზე ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა, დერეფანში ხმაური და სხვა);

ბ) მოწევა საამისოდ ნებადართული, ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

გ) ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება, აზარტული თამაშები; დ) ინვენტარით სარგებლობის წესის დარღვევა (მერხებზე

წარწერების გაკეთება,კომპიუტერების, ლაბორატორიული მოწყობილობების, სასწავლო ავეჯისა და ინვენტარის დაზიანება);

ე) უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობის იერსახის დამახინჯება, ნარგავების დაზიანება;

ვ) დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრისათვის უფლებამოსილი პირის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა; ზ) ბილწსიტყვაობა;

თ) ნარკოტიკული და/ან ფსიქოტროპული საშუალებების შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება; ი) ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა და/ან გავრცელება, რომლებიც ხანძრის და/ან აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნიან;

კ) ძალადობა, ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებისათვის;

ლ) სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება

აკადემიური სიყალბე (გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, სხვა პირის ნამუშევრის საკუთრად წარმოჩენა, კვლევითი სამუშაოების ინფორმაციის გაყალბება, პლაგიატი და სხვა); მ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება ან სხვა პირის შეგზავნა გამოცდის ჩასაბარებლად. სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა, ნ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე ზეწოლით;

3.4. ეთიკის წესების დარღვევის ფაქტებზე სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრა შეუძლია უნივერსიტეტის აკადემიურ და პედაგოგიურ საქმიანობაში ჩართულ ნებისმიერ პირს, ასევე, ადმინისტრაციის ნებისმიერ თანამშრომელს.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

4.1. ეთიკის კოდქსის ნებისმიერი ცვლილება ეცნობება უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს.

4.2. პერსონალის მიერ ეთიკის კოდექსის დაცვაზე კონტროლს ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. სტუდენტების შემთხვევაში ფაკულტეტები.

4.3. უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსს ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ვალდებულია სამუშაოზე მიღებისას დასაქმებულს გააცნოს ეთიკის კოდექსი, ხოლო ფაკულტეტები ვალდებულნი არიან სტუდენტებს გააცნონ ეთიკის კოდექსის შინაარსი და მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება.

4.4. ეთიკის კოდექსი ძალაში შედის უნივერსიტეტის რექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებისთანავე.

4.5. ეთიკის კოდექსში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა და მათი ძალაში შესვლა წარმოებს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.